გრიგოლ ჟორდანია

არ გაინძრე!

მოქმედი პირნი:

პაციენტი
დედა
ცოლი
და
სიძე
ბიძა
ბიცოლა
მედძმა
ექიმი
მენეჯერი
ხელოვნება
1პოლიციელი
2პოლიციელი
მოსწავლე
მოსწ.ჯგუფი.
კორესპონდენტი
მეხანძრე
მოხუცი პაციენტი

პროლოგი

ძველი საავადმყოფოს ინტერიერი. ორი დანგრეული ლოგინი და საავადმყოფოს სხვა ინვენტარი დგას. შუქი ერთ საწოლთან ინთება მხოლოდ. საწოლში მოხუცი კაცი წევს. დგება და ავანსცენისკენ მოდის, თან წვეთოვანის სისტემას მოაგორიალებს.

მოხუცი პაციენტი - სად ვარ? ეს რა ადგილია? საავადმყოფოა? აქ როგორ აღმოვჩნდი? რა სიმშვიდეა, რა სიჩუმეა, (მაყურებელს) თქვენ ვინ ხართ? აქ რა გინდათ? ااا გიცანით... თქვენ ვერ მიცანით? თუმცა რას მიცნობდით, დავბერდი, დავჭკნი. თქვენ? თქვენ ისევ ისეთი ახალგაზრდები ხართ. მაგრამ ჩემზე არ ინერვიულოთ კარგად ვარ... კიდევ კარგი აქ დამხვდით... თქვენთვის რაღაც მაქვს სათქმელი... პირველ რიგში შენდობა მინდა გთხოვოთ. ვიცი, მე ისე არ ვიქცეოდი, როგორც ღირსეულ ადამიანს შეჰფერის. ნაწილობრივ ბოროტებას გავურიგდი, თუმცა ეს ჩემი ბრალი არ არის, საუკუნემ მოიტანა. მაპატიეთ თუ ვინმეს რამე გაწყენინეთ. პირველ რიგში ჩემს ოჯახს ვთხოვ პატიებას. ჩემო შვილებო დაგაკელით მამის მზრუნველობა. ჩემო საყვარელო მეუღლე, შენი ანკარა წყაროსავით სული, ჩემი ხელის ფათურით როგორ ავამღვრიე... ჩემო მშობლებო, მხოლოდ თქვენი სიკვდილის შემდეგ ვიგრძენი უანგარო სიყვარულის არსებობა. მენატრებით... ჩემო სამშობლო, მეშინოდა მაშინ, როცა შენს გვერდით უნდა ვმდგარიყავი. ახლაც მეშინია... უფალო, შემინდე, რადგან მე ცოდვილი ვარ. გევედრები. (მაყურებელს) მე ვიპოვე ჩემი ცოდვების გამოსასყიდი იმედია ამას მიიღებთ ჩემგან, რაკი ყველანი აქ ხართ, დღეს ჩემი ცხოვრების ისტორიას გიამბობთ თავიდან ბოლომდე. იმდენი მოსაყოლი მაქვს თქვენთვის, მაგრამ პირველ რიგში მინდა იმ ერთადერთი ჭეშმარიტების შესახებ გიამბოთ, რასაც ამდენ წლიანი ცხოვრების შემდეგ ძლივს მივაგენი. სწორედ ეს არის ის რის გამოც არსებობს ადამიანი. ეს არის ის რის გამოც ღირს ყოველ დილით მზის ამოსვლას ელოდო., რაც მოგანიჭებს სულიერ სიმშვიდეს. გონების სიწმინდეს. თავისუფლებას. ეს არის ის რისი წყალობითაც შენი ფიქრები მშვენიერ პოემას დაემსგავსება. ეს არის განძი, რომელიც დამარხულია ყველა ადამიანის სულში, როგორც იშვიათი მარგალიტი უსაზღვრო ზღვაში. მე ის ვიპოვე! მე ამას თქვენ გიანდერძებთ,ჩემო შვილებო და შვილიშვილებო. გაუფრთხილდით. მხოლოდ ერთი სიტყვაა, მეტი არაფერი. მხოლოდ ერთი სიტყვა... (პაუზა) და ეს სიტყვაა... (ღრმად ამოისთქავს) და ეს სიტყვაა...

(შემორბის ექიმი და მედმა. აიყვანენ ხელში და გადააწვენენ საწოლზე)

ექიმი - ისევ ბოდვები დაიწყო! წნევა გაუსინჯე.

მოხუცი პაციენტი - მათქმევინეთ ერთი სიტყვა.

ექიმი - გაჩუმდით და პულსი არ მესმის.

მოხუცი პაციენტი - რა დროს პულსია.

მედმა - ძალიან მაღალი წნევა აქვს.

ექიმი - სასწრაფოდ რეანიმაციაში გადაიწყვანეთ

მოხუცი პაციენტი - არ მინდა რეანიმაცია.

ექიმი - აბა სიკვდილი გინდათ ბატონო. დამამშვიდებელი მიეცით და აპარატზე შეაერთეთ.

პაციენტი - ერთი სიტყვა.

ექიმი - გააკეთეთ!

(პაციენტს აძინებენ და გაყავთ)

ექიმი - გაყვანის დრო?

მედმა - ცხრამეტი საათი და ხუთი წუთი.

(მედმა გადის და გააქვს საწოლი)

● ● ●

(სიბნელიდან ისმის ჩურჩული)

პაციენტი - რა მოუვიდა?

ექიმი - კვდება!

პაციენტი - რაღაცას ამბობდა, ვერ დაამთავრა.

ექიმი - წნევა აქვს მაღალი, ეტყობა ბოდავდა რაღაცეებს. ეს დღეებია სულ ბოდავს! (ფურცლებში იხედება, დიდხანს და საქმიანად, ოფლს იწმინდავს, ინიავებს ფურცლებს, ინთება მეორე საწოლი, სადაც პაციენტი კისრის კორსეტით წევს) ბარემ აქ ვარ, -აბა ვნახოთ აქ რა გვაქვს. აჰაა, ოჰოო, უჰუუ, ძალიან კარგი. სხვა კაბინეტში გადავდივარ და ერთი დიდი არეულობა მაქვს. ყველაფერი თავზე მაყრია. შაბათ კვირას კიდე საოპერაციოდან ვერ გამოვედი. ჩამოვჯდები ცოტა ხანი დავისვენებ, თუ არ გეწყინება. წნევა მაღალია თუმცა არაუშავს. ტემპერატურაც მაღალია... უფ, ჯოჯოხეთურად ცხელა დღეს. კი გექნება სიცხე. ვიტყოდი რომ პაპანაქებაც კი არის. ფანჯრებს კი გამოგიღებდი, მაგრამ აზრი არ აქვს გარედან შუშის ფასადი აგვიშენეს და ის მაინც არ იღება. (აღებს ფანჯარას ხელს გაყოფს და შუშაზე აკაკუნებს) აჰაა. ცუდია ზაფხული რომ დაგემთხვა, მაგრამ რას ვიზამთ. ბედია. აუ ახლა ცივ აუზში თავით გადამიშვა. (პაციენტის მაგიდიდან აღებულ ორცხობილას კბეჩს) რაც კაია, კაია. კოქტეილი, ქალები, მზე და ცივი წყალი. ოხ, ოხ, მომანდომე. (ჩაფიქრებული ჭერში იყურება)

შენ რა გითხარი. კარგი მოდი საქმეზე გადავიდეთ. პირველ რიგში უნდა გითხრა, რომ ვინც გუშინ ილოცა, ყველას შენთვის ულოცია, ნეტა ყველას შენნაირი ბედი ქონდეს, მეც მათ შორის. შენ მდგომარეობაში 95 პროცენტი სიკვდილით ამთავრებს. დანარჩენი პარალიზებული რჩება. მოკლედ უიშვიათესი ეგზემპლარი ხარ, კარგი გაგებით. ესეიგი, სურათის ხარისხი არც ისე დამაკმაყოფილებელია, ალბათ ბევრს მოძრაობდი, მაგრამ რაც დავინახე გეტყვი. სამ ადგილას მოტეხილია პირველი მალა ანუ ატლანტი, და ასევე მოტეხილია მეშვიდე კისრის მალა და ფრაგმენტი ედება ზურგის ტვინს. ვიმეორებ ედება და არ კომპრესირდება. აი რომ აწვებოდეს მაშინ ჩათვალე anus est punctum, ანუ საქმე იქითკენ იქნებოდა, ხო მიხვდი საითაც? მკითხავ ალბათ ოპერაცია საჭიროა თუ არა? ვერ გეტყვი. შეიძლება კი, შეიძლება არა. ეს ექიმის გემოვნების საკითხია და როგორც იტყვიან გემოვნებაზე არ დაობენ, ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ოპერაცია მეტ რისკთან არის დაკავშირებული თანაც შენი ოჯახის წევრები დაჟინებით მოითხოვენ, განსაკუთრებით დედა, არ გაკეთდეს ოპერაცია. ამიტომ ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კონსერვატიული მკურნალობა ჩავატაროთ. ეს კი ნიშნავს შემდეგს... ახლა ძალიან ნელა გეტყვი დანარჩენს, რომ კარგად გაიგო და გაიაზრო. (არაბუნებრივად ნელა და გამოთქმით იწყებს) გა რკვე უ ლი დრო, ზუს ტად ვერ გე ტყვი რა მდე ნი. ა ი ე სე გულ აღ მა გა უნ ძრე ვლად უნ და იწ ვე და არ გა ინ ძრე, რომ თა ვი ძვლებს ვა ცა დოთ თა ვი სით შე ხორ ცე ბა. რა ღაც ე რი ო დი. ააა რა ნა ი რი მო ძრა ო ბა. აბ ა მორ ჩა. კი თხვე ბი გაქვს?

(პაუზა)

პაციენტი - ერთ ღერ სიგარეტს ვერ მომაწევინებთ?

ექიმი - აქ მოწევა არ შეიძლება, თანაც ხო გითხარი ფანჯარა არ იღება.

პაციენტი - გთხოვთ, მარტო ერთი ღერი.

ექიმი - (ყოყმაონბს) კარგი მარტო ერთი. ოღონდ მე არაფერი დამინახავს და არ გამიგონია. აბა გაიმეორე.

პაციენტი - თქვენ არაფერი დაგინახავთ და არ გაგიგონიათ.

(ექიმი პირდაპირ ჯიბიდან იღებს ერთ ღერს. ქურდულად იხედება აქეთ-იქით და პაციენტს პირში ჩათხრის, შემდეგ ასანთს იღებს , უკიდებს და იღება კარი. შემოდის დედა.)

დედა - რას აკეთებ სულ გაგიჟდი. (მოკიდებულ სიგარეტს პირი**და**ნ გამოგლიჯავს, ფანჯარას აღებს და ფანჯრიდან აგდებს)

ექიმი - მანდ არა ქალბატონო.

დედა - როგორ შეიძლება მოწევა შენს მდგომარეობაში. კისერი გაქვს მოტეხილი.

ექიმი - პრინციპში...

დედა - როგორ უშლის შეხორცებას ხელს არ იცი? ასე არ არის ექიმო? (დაჟინებით)

ექიმი - დიახ.

დედა - მოგიკვდეს დედა და ცოცხალი აღარ გენახოს. შენი მოფერება აღარ ღირსებოდეს არასდროს. ჩემი სიკვდილი და არ გადარჩენა, დედა, ერთ დღეს.

ექიმი - ტფუი,ტფუი, ტფუი.

პაციენტი - კარგად ვარ ნუ ნერვიულობ.

დედა - როგორ ხარ დედა გენაცვალოს კარგად, დედაშენს აღარ გაუთენდეს ხვალინდელი დღე.

პაციენტი - ნუ იწყევლები რა.

დედა - რა ვქნათ ახლა, როგორ მოვიქცეთ.

ექიმი - მთავარია არ გა ინ ძრეს.

დედა - მაგას მე გავაკონტროლებ, თუ საჭიროა დავაბათ.

პაციენტი - არა იყოს ჯერჯერობით.

დედა - მოუსმინე ექიმს.

ექიმი - იყოს, დაბმა არ არის საჭირო. დიდი ბიჭია.

დედა - რა მივცე?

ექიმი - რასთან დაკავშირებით?

დედა - საჭმელი. გშია დე? რა მოგიტანო?

ექიმი - თევზი კარგია. ოღონდ გაურჩიეთ ფხა არ შეყვეს.

დედა - აბა რას ვიზამ, ჩავალ ახლავე ამოვიტან. იმდენ თევზს ამოგიტან...

ექიმი - ფრთხილად ქალბატონო ლაყუჩები არ ამოუვიდეს კისრის მაგივრად. (იცინის)

დედა - (ცოტა ბრაზდება) დამელოდები დე?

პაციენტი - სად წავალ? (ეცინება)

ექიმი - (მკაცრად) ნუ მო ძრა...

დედა - ობ! წავედი და მალე მოვალ. (კოცნის)

პაციენტი - გავიგე.

(დედა გადის. კარში ცოლი შეეჩეხება. ანერვიულებულია, ტირის)

ცოლი - როგორ არის?

დედა - კარგად იქნება. ჩავალ და ამოვალ. ნახე დე ვინ მოვიდა?

პაციენტი - მოხვედი?

ცოლი - (ტირის) ჩემო სიცოცხლე, ჩემო ბედნიერება. გული გამისკდა რომ დამირეკეს. თავიდან მეთქი მეხუმრებიანთქო, არ დავიჯერე. შეხედე პატარა შენ თავს რა კარგად გამოიყურები ჩემო ცხოვრება ცოტა ხანი უნდა მოითმინო და ყველაფერი კარგად იქნება. ესეთები გადაგვიტანია პატარა? (პაციენტსაც ეტირება) არ იტირო გთხოვ. (ცრემლიან თვალებზე კოცნის)

პაციენტი - (ტირილით) მოიცადე არ გამანძრიო, არ შეიძლებაო.

ექიმი - გან ძრე ვა ა რა ვი თარ შემ თხვე ვა ში.

ცოლი - მაპატიე ჩემო ბედნიერება. კარგი?

პაციენტი - კარგი.

ცოლი - არ ინერვიულო კარგი?

პაციენტი - კარგი. არ ვნერვიულობ შენ როცა ხარ ჩემთან ერთად. ხელი მომკიდე გთხოვ. არ წახვიდე არსად კარგი?

ცოლი - კარგი. კარგი?

პაციენტი - კარგი.

ცოლი - კარგი. მე შენთან ვარ ხო იცი. მთელი ცხოვრება ჭირშიც და ლხინშიც. კარგი?

პაციენტი - კარგი.

ცოლი - მიყვარხარ უსასრულოდ კარგი?

პაციენტი - მეც, კარგი?

ცოლი - კარგი!

ექიმი - კარგი! (ფეხის თითებზე ჩქმეტს პაციენტს) აბა აქ გრძნობ?

პაციენტი - დიახ! (ეღიტინება, თან ეცინება, თან ეტირება)

ცოლი - ნუ ტირი და ისე უპასუხე.

ექიმი - აბა აქ?

პაციენტი - დიახ ვგრძნობ.

ექიმი - ძალიან კარგი. აქ და აქ ერთნაირად თუ გრძნობ?

პაციენტი - მემგონი კი, არ ვიცი, ზუსტად არ ვიცი.

ექიმი (ხის ჩხირს იღებს, ფეხზე უსმევს) - აბა რა ფიგურაა?

პაციენტი - ხაზი.

ექიმი - ახლა?

პაციენტი - წრე.

ექიმი - აბა, აბა.

პაციენტი - თავიდან ქენით. ტოლფერდა ტრაპეცია.

ექიმი - ოთკუთხედია. მოკლედ მემგონი ნევროლიგიური სიმპტომები არ ჩანს. მე ახლა დაგტოვებთ ახალ კაბინეტში გადავდივარ და თავზე მაყრია ყველაფერი. დაისვენე და ცოტა ხანში ისევ შემოგივლი.

ცოლი - მადლობა ექიმო. ხედავ ყველაფერი კარგად არის? აღარ ინერვიულო, კარგი? (იღებს ხის ჩხირს და სევდანარევი სიკეკლუცით ფეხზე უსვამს) აბა?

პაციენტი - (ღიმილით) გული.

ცოლი - ჰო... აბა კიდე.

პაციენტი - მაწერ რამეს?

ცოლი - კი.

პაციენტი - მიდი აბა. მეც მიყვარხარ.

(იცინიან)

ცოლი - ამას ვერ გამოიცნობ. ვიწყებ ყურადღებით. (დიდხანს უსმევს ჩხირს ფეხზე,აწერს რაღაცას)

პაციენტი - რა საყვარელი ხარ. სად გაგახსნებდა ახლა ეგ?

ცოლი - იმიტო რო მიყვარხაااااარ. კარგი?

პაციენტი - მე უფრო.

ცოლი - არა მე.

პაციენტი - მე.

ცოლი - (უფრო დიდხანს უსმევს ჩხირს) აბა?

პაციენტი - რა?

ცოლი - (ცოტა უფრო მონდომებით უსმევს) მიდი მითხარი.

პაციენტი - არა.

ცოლი - არ გეჩხუბები მიპასუხე.

პაციენტი - მართლა არ ვიყავი ნასვამი.

ცოლი - აბა ჩემი თავი დაიფიცე.

პაციენტი- ლუდი დავლიე ერთი ჭიქა.

ცოლი - (ცოტა მეტად აგრესიულად უსმევს ჩხირს ფეხზე) ოღონდ სიმართლე მითხარი.

პაციენტი - მეტკინა.

ცოლი - მიპასუხე!

პაციენტი - თანამშრომლები.

ცოლი - რომელი ექსკურსიიდან ჩამოსულხარ ფხიზელი? კი არ ვბრაზდები, უბრალოდ ვერ ვიტან რომ მატყუებ.

პაციენტი - არ გატყუებ.

ცოლი - ის იყო?

პაციენტი - ვინ?

ცოლი - “ **ხელოვნება**”

(შემოდის მედმა)

მედმა - აუზი აქ ხო?

პაციენტი - (სიხარულით) დიახ, დიახ მობრძანდით.

მედმა - წნევა და სიცხე უნდა გადავამოწმო და სისტემა დაგიდგათ. ხომ არ ნერვიულობ?

ტემპერატურა დასტაბილურდა, წნევა ცოტა მაღალია.

ცოლი - ეგ ალბათ სასმლისგან. არა ჩემო ცხოვრება?

პაციენტი - ბიჭი, ბიჭი, ერთი ღერი სიგარეტი რო მოვწიო თუ შეიძლება?

მედმა - ექიმის ნებართვის გარეშე ვერ მოგაწევინებ.

პაციენტი - ექიმმა მოწიეო.

მედმა - მაშინ კარგი.

პაციენტი - მომეცი რა ერთი ღერი.

(ცოლი ნაწყენი ჩანთიდან იღებს სიგარეტს. პაციენტს პირში ჩაჩრის და უკიდებს. იღება კარი და შემოდის დედა)

დედა - აბა თევზი მოვიდა. რას აკეთებ რა გითხარი მე შენ არ მოწიოთქო. ექიმმა არ მოაწევინოო, ძვლებისთვის არ ვარგაო.

მედმა - აბა მოწიეო?

დედა - თქვენ არ გეუბნებით, ბიჭი!

ცოლი - არ ვიცოდი.

(დედა გამოგლიჯავს სიგარეტს და ფანჯრიდან აგდებს)

მედმა - ქალბატონო მანდ არ გადააგდოთ. მანდ ფანჯარა არ არის.

დედა - რას უკეთებთ?

მედმა - ჰორმონია.

ცოლი - ქალის ხო არა?

მედმა - უკაცრავად? ანთებითი პროცესი რომ არ წავიდეს.

დედა - მოგიკვდეს დედა, დედა.

მედმა - გავალ მე და თუ დაგჭირდებით დამიძახეთ. ორ საათში შემდეგი გადასხმა.

პაციენტი - ერთი წუთით, უკაცრავად. შეიძლება.

მედმა - გისმენ.

პაციენტი - (ჩურჩულით) ბოდიში, ტუალეტში რომ მომინდეს როგორ უნდა მოვიქცე?

მედმა - ახლა გინდა?

პაციენტი - ახლა არა, მაგრამ რომ მომინდეს...

მედმა - დამიძახე!

დედა - მაგ საქმეს ჩვენ მივხედავთ. თქვენ სუდნო შემოგვიტანეთ თუ შეიძლება?

პაციენტი - რა?

მედმა - ნება თქვენია. (გადის)

დედა - საკუთარ შვილებს ვერ უვლიან, სხვისას მოუვლიან?!

და - (ჩუმად შემოყოფს კარში თავს. ჩურჩულით ლაპარაკობს) როგორ არის? ძინავს?

დედა - შემოდი, შემოდი ღვიძავს. ნახე ვინ მოვიდა?

პაციენტი - ვინ?

და - მე ვარ იდიოტო. (ცოლს) როგორ ხარ დაო?

ცოლი - როგორ უნდა ვიყო დაო, შენი ძმის ხელში.

და - გტკივა?

პაციენტი - არა.

და - ვერ დგები?

პაციენტი - არ შეიძლება. არ უნდა გავინძრე.

და - რამდენი ხანი?

პაციენტი - არ იციან ჯერ.

და - ნასვამი იყო?

ცოლი - არა ფხიზელი.

და - აბა რა ჯანდაბა დაემართა.

დედა - დე რატო ჩურჩულებ?

და - ყელი მტკივა. ალერგია მაქვს, რაც ახალ სახლში გადავედით.

დედა - გეუბნებოდი. სადაა შენი ქმარი?

და - გარეთ დგას ტელეფონზე ლაპარაკობს, შემოვა.

დედა - სულ დაკავებულია ეგ ბიჭი.

და - ისეთ სფეროშია, მუდმივად თვალყური უნდა ადევნოს ინოვაციებს.

ცოლი - ხო.

და - ტუალეტი საით არის.

ცოლი - აი, ეგ კარია.

(და შედის ტუალეტში და სიძე აღებს კარს.)

სიძე - აბა აქ ვინ არისო? ჩემი ძმა-ცოლის ძმა, ულამაზესი სიდედრი და შეუდარებელი ცოლის რძალი.

დედა - რა კარგია რომ მოხვედი, მოიცალე.

სიძე - რა კაცი წაგვექცა?!

დედა - კარგი, ნუ სულელობ.

სიძე - რაო, არ ეშველებაო?

დედა - არ უნდა გაინძრეს რაც მთავარია.

სიძე - ისე, ხო სულ დარბოდა. (ნაზად ურტყამს მუშტებს) ჰა, მიდი ადექი აბა თუ კაცი ხარ. რა იყო, ხო არ შეგეშინდა ბიჭო. ნახეთ, ნახეთ რამდენს ვურტყამ და ხმას ვერ იღებს.

პაციენტი - აუ ახლა მართლა თუ ავდექი.

ცოლი - კარგი, გეყოფა, ცოდოა.

პაციენტი - ცოდო არ ვარ.

სიძე - ვხუმრობ, ვხუმრობ. ხო იცი ჩემი ძმა ხარ.

პაციენტი - ვიცი, აბა არ ვიცი.

სიძე - მერე შენი ძმა, შენთან შენ გგონია ხელცარიელი მოვიდა? მოიცა.

(გადის, ტუალეტიდან და გამოდის)

და - შემოვიდა?

პაციენტი - კი, და გავიდა.

და - შემომხედე გამხდრად ვარ?

პაციენტი - მოიწიე, ვერ გხედავ.

და - აჰა.

პაციენტი - კი, რავიცი.

ცოლი - ძაან კარგად ხარ დაო.

და - შენც დაო.

(შემოდის სიძე, შემოაქვს უზარმაზარი ყუთი)

სიძე - სურპრიზი!

დედა - რა არის ეს?

სიძე - საჩუქარი. ჩემი ძმა-ცოლის ძმისთვის.

პაციენტი (დას) - რა არის? რა მეც დამანახეთ.

დედა - უზარმაზარი ყუთია. (დას) იცოდი?

და - კი.

პაციენტი - რა არისთქო?

ცოლი - აუ რა საყვარლები ხართ, გავგიჟდი.

პაციენტი - შიგნით რა დევს?

სიძე - მოიცა გავხსნი.

ცოლი - პარკი არ გახიოთ. ნელა მოაძრეთ.

(ყველა ხსნის ყუთს)

პაციენტი - რა არის რა? გამაგებინეთ.

ცოლი - ტელევიზორი?!

სიძე - არავითარი ტელევიზორი ჩემო ცოლის რძალო. ეს არის 66 ინჩიანი, კრისტალური 8კა გამოსახულების, სამი ეიჩდიემაი პორტიანი, ჩაშენებულ ხმოვან ასიტენტიანი. სატელიტური ანტენების მხარდაჭერით, უახლესი "ვაიზ", იგივე ბრძენი ტელევიზორი.

დედა (დას) - რა ბიჭია.

სიძე - (პაციენტს) ისე, შენზე მეტი ფუნქცია კი აქვს. არ გეწყინოს ვხუმრობ.

დედა - წოლის დროს გამოადგება გაერთობა.

სიძე - ზუსტად მაგიტომ მოვუტანე.

პაციენტი - მადლობა დიდი. მაგარი საჩუქარია.

სიძე - ჰა, ეხლა დავდოთ ისეთ ადგილას, რომ კარგად დაინახოს. ხედავ ესე?

პაციენტი - ცოტაც აწიეთ... კარგია.

სიძე - ეხლა ნახეთ... აბა... ტელევიზორო ჩაირთე.

(ტელევიზორი ირთვება და ტელევიზორიდან ისმის ხმა)

ჟურნალისტი - როგორც აღმოჩნდა, ის მაღალჩინოსნის ახლო ნათესავია, შეიძლება ითქვას ბიძაშვილიც. ვინ და რატომ აფარებს დამნაშავეს ხელს? რატომ ვერ იჭერენ დამნაშავეს? ვინ უნდა დაისაჯოს? ამ და სხვა კითხვებზე ამომწურავ პასუხს გაგვცემენ გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერები. მოგესალმებით ბატონებო. როგორც წყარომ მაცნობა თქვენ იცით ტექ-მმუსვრელის ვინაობა. რატომ არ ასაჯაროვებთ?

პაციენტი - ვინ არქმევს დამნაშავეს ტექ-მმუსვრელს?

სიძე - დაიწყება ეხლა აქციები... მოდი დაგიყენებ რაღაცეებს. ტელევიზორო! მონაცემების განახლება!

(შემოდის საავადმყოფოს მენეჯერი)

მენეჯერი - აუზი აქ წევს?

დედა - დიახ.

მენეჯერი - მე საავადმყოფოს ადმინისტრაციის მენეჯერი ვარ.

პაციენტი - დიახ.

მენეჯერი - გადასახადთან დაკავშირებით გაწუხებთ.

ტელევიზორი - ამ ეტაპზე დავალიანება არ ფიქსირდება.

სიძე - უკაცრავად.

მენეჯერი - არაუშავს, მაგარი ტელევიზორია.

სიძე - მადლობა.

ცოლი - ჩვენ დაზღვევა გვაქვს.

მენეჯერი - დიახ, მესმის. რაღაც პრობლემა შეიქმნა და ამასთან დაკავშირებით გაწუხებთ. როგორც ვიცი თქვენ სახელმწიფო დაზღვევით სარგებლობთ.

პაციენტი - დიახ.

სიძე - რა პრობლემაა ისეთი, რომ ვერ მოვაგვარებთ?

მენეჯერი - სადაზღვევოს ვესაურე და ისინი ვერ შეძლებენ თქვენი მკურნალობის დაფინანსებას.

ცოლი - რას ქვია ვერ შეძლებენ?

მენეჯერი - იმ შემთხვევაში აფინანსებს სახელმწიფო დაზღვევა მკურნალობას, თუ თქვენ საარსებო მინიმუმი ან იმაზე ნაკლები გაქვთ შემოსავალი.

პაციენტი - დიახ, საარსებო მინიმუმი მაქვს, სკოლის მასწავლებელი ვარ.

მენეჯერი - დიახ, ვიცი. თუმცა, როგორც ამონაწერში ვკითხულობთ ამ წლის თქვენი შემოსავალი საარსებო მინიმუმს აღემატებოდა.

პაციენტი - რა სისულელეა. ხელფასი არ გამზრდია.

დედა - დამშვიდდი დედა, რაღაც შეცდომა იქნება.

და - ბოდიში საპირფარეშოში გავალ.

მენეჯერი - მიბრძანდით.

პაციენტი - რას ნიშნავს საარსებო მინიმუმზე მეტ მქონდა შემოსავალი.

მენეჯერი - მესმის თქვენი ნერვიულობის მიზეზი, მაგრამ ახლავე ყველაფერს აგიხსნით. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით თქვენ აიღეთ სესხი.

პაციენტი - დიახ.

ცოლი - რა სესხი?

პაციენტი - მერე აგიხსნი.

მენეჯერი - და სესხით აღებული თანხა როგორც შემოსავალი ისე ფიქსირდება. ასეთია სადაზღვევოს წესები.

პაციენტი - რას ქვია როგორც შემოსავალი. მე ეს თანხა უნდა დავაბრუნო ასე არ არის?

მენეჯერი - ვიცი, მაგრამ სამწუხაროდ მე ამ შემთხვევაში ვერაფერში დაგეხმარებით. დღის

ბოლომდე მოგიწევთ მკურნალობის ხარჯების დაფარვა. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულები ვიქნებით შევაჩეროთ პროცესი.

პაციენტი - რას ქვია სესხი შემოსავალია? ოღონდ, თანხა არ გადაიხადონ და რა წესს არ მოიგონებენ.

მენეჯერი - ძალიან ვწუხვარ.

პაციენტი - გეფიცებით, გეფიცებით საარსებო მინიმუმზე მეტი არ მქონია ამ წელს და არც არასდროს.

მენეჯერი - უკაცრავად (გადის)

სიძე - აზრი არ აქვს. დამშვიდდი.

პაციენტი - დამალევინეთ ვინმემ წყალი.

ცოლი - შენი და არის ტუალეტში.

დედა - გამოდი დე მალე.

და - რაო?

დედა (თან წყალს ავსებს) - ბიძაშენს უნდა დაველაპარაკოთ.

და - დაელაპარაკე მერე.

დედა - (პაციენტს წყალს ასმევს) მორჩი, ნუ მოძრაობ. მოვიფიქრებთ რამეს.

ცოლი - გამაგებინე რა სესხი აიღე.

დედა - კარგით გეყოფათ. ვიზამთ რამეს. წუთი-წუთზე ბიძაშენი მოვა, დაველაპარაკები. უარს არ გვეტყვის. (კაკუნი) აი მემგონი მოვიდა.

(შემოდის მედმმა)

მედმმა - ბოდიში, აი თქვენი სუდნო. სისტემა უნდა შევცვალოთ და ტემპერატურა შევამოწმოთ.

ტელევიზორი - ტემპერატურის შემოწმება დადასტურებულია. ფიქსირდება 105 ფარენჰეიტი.

მედმმა - რამდენიო?

სიძე - 105 ფარენჰეიტი.

მედმმა - ეგ რამდენია?

სიძე - მე რა ვიცი. მოიცადეთ ცელსიუსებზე დავაყენებ. ტელევიზორო ტემპერატურა შეცვალე ცელსიუსებზე.

ტელევიზორი - ცვლილება შესრულებულია.

სიძე - მაგას რამდენი ფარენჰეიტი აქვს? (იცინის)

მედმა - ნორმაზე ცოტა მაღალი. მაგრამ არაუშავს.

ცოლი - ექიმი აღარ გასინჯავს?

მედმა - ექიმი ახალ კაბინეტ...

ცოლი - დიახ, ვიცით.

მედმა - და დამიბარა. ნელა გაუმეორე. (არარეალურად ნელა) მთა ვა რი ა. არ გა ინ ძრე სო.

(შემოდის ბიძა)

ბიძა - არ უნდა გაინძრეს, არა ის! განძრევა და დანძრევა უზამს ამას რამეს? შეხედე ჩემზე კარგი ფერი აქვს. სიძეს გაუმარჯოს, რძალს ვენაცვალე.

ბიცოლა - ბოდიში დაგვაგვიანდა რაღაც აქციაა გარეთ და....

პაციენტი- ხომ ვთქვი დაიწყებათქო....

ცოლი - გამარჯობა, როგორ ხართ?

ბიძა - (ბიძაშვილს) როგორ ხარო?

ბიძაშვილი - კარგად!

ბიძა - უხ, შენი!

პაციენტი - (ბიძაშვილს) დამენახე ერთი, რამხელა გაზრდილხარ!

ბიცოლა - (ტირილით) შენ როგორ ხარ დედი? გული მაქვს გაგლეჯვაზე გეფიცები. ჩემ შვილებზე არ მინერვიულია ისე, როგორც ამაზე.

დედა - ეჰ... რა დღეში ჩაგვაგდო ჩვენც და საკუთარი თავიც. მოუკვდეს ამას მისი დედა და არ გაიხაროს არასდროს.

და - დედა!

პაციენტი - კარგად ვარ, კარგად. არ ინერვიულო გეხვეწები რა.

ბიცოლა - რა გაწუხებს მითხარი.

პაციენტი - არაფერი. უბრალოდ დისკომფორტია რომ ვერ ვინძრევი.

ბიცოლა - წარმომიდგენია, წარმომიდგენია. რამდენი ხანიო?

პაციენტი - არ იციან.

ბიცოლა - დედა, დედა... საწყალი ბავშვი. 15 წუთიც ვერ გავჩერდებოდი ეგრე.

პაციენტი - სხვა რა გზა მაქვს.

ბიცოლა - მთავარია ღმერთის წყალობით გადარჩი.

პაციენტი - რას ამბობ. არ განძრევას ვჩივი?

ბიძა - არ დანძრევას ხო ჩივი? (იცინის)

სიძე - მეც ეგ მაინტერესებს.

ბიცოლა - გეყოფათთქო.

ბიძა - მოგიტანე შენ რო გიყვარს, კარგი შემწვარი...

დედა - ექიმმა მარტო თევზიო.

ბიძა - თევზია მარტო. უფ ასეთი თევზი, ისეთი თევზი. მოკლედ რაც დაცურავს ყველაფერის. უფ... და ჩემი გამოხდილი 3 ლიტრა ბომბა. ეგრევე მოგარჩენს.

ცოლი - სასმელი კატეგორიულად არაო.

ბიძა - ჰე, ქალებო გაშალეთ ეხლა მაგიდა, რას მიყურებთ?

დედა - (ბიძას) რაღაც პრობლემა შეიქმნა, და...

ბიძა - მერე, აქ რისთვის ვარ.

ბიცოლა - მოიცადე მანამდე ერთი სურათი გადავიღოთ. (მედძმა) გადაგვიღეთ რა მეგობარო. მოდით აბა ყველანი ჩემთან.

დედა - (ბიძას) კარგი, მერე დაგელაპარაკები

და - აუ, მე გამხდრად გამომაჩინეთ რა.

ბიცოლა - კარგია.

ბიძა - მოწიეთ სკამები. (მედძმას) ექიმო არ შემოგვიერთდებით.

მედძმა - მედძმა ვარ, ექიმი ახალ კაბინეტში გადადის და... მე დაგტოვებთ და ცოტა ხანში

დავბრუნდები.

ბიძა - (ბიცოლას) გაუხვიე რაღაც-რაღაცები, გაატანე.

მედძმა - არ არის საჭირო, გმადლობ.

ბიძა – (ბიცოლას) მიდი მეთქი.

ბიცოლა - ახლავე, ჰო...

მედძმა - გმადლობ.

ცოლი - (პაციენტს) გაგირჩევ თევზს და ისე გაჭმევ.

დედა - (ცოლს) დაწყნარდი და დაისვენე. შენ ჭამე. მთელი დღეა ფეხზე ხარ. მე გავურჩევ და ვაჭმევ.

ცოლი - არ ვარ დაღლილი. მომეცი.

დედა - ყურადღებით მაშინ. ფხები არ შეყვეს. კანები მე დამიტოვე.

ბიძა - (სიძეს) დალევ?

სიძე - უარს როგორ გეტყვით. ბოდიში უნდა ვუპასუხო. ალიო, ჰო. არ არის პრობლემა მოვაგვარებ. რა მნიშვნელობა აქვს ფირმას. ფასი გაიგე. კარგი ეხლა არ მცალია გადმოგირეკავ.

ბიძა - აი კაცი. (პაციენტს) შენ იწექი მანდ.

პაციენტი- რა ვქნა.

ბიძა - რა უნდა ქნა, ადექი!

ბიცოლა - დაანებეე!

პაციენტი - ნახეთ, რა ტელევიზორი მომიტანა.

ბიძა - სიძეც ასეთი უნდა.

ბიცოლა - ყოჩაღ დედი.

ბიძაშვილი - ვაიზია?

სიძე - (ჩაცინებით) აბა...

ბიძაშვილი – ქუულ.

ბიძა – (სიძეს) დაასხი ახლა რას მიყურებ. (დას) მოდი დაჯექი.

და - არა, დიეტაზე ვარ.

ბიძა - დიეტა ჩვენი მტრების მოგონილია. ფსიქოლოგიურად რომ გაგვტეხონ. ნახეთ რა სასმელი არის. ისეთ ხასიათზე დაგაყენებთ.... ეგრევე 10 კილოთი ნაკლებად იგრძნობთ თავს. (ბიძაშვილზე) ამის ქორწილისთვისაც მაქვს გადადებული. აბა, მოდით ტრადიციულად უფლის სადიდებელი იყოს.

დედა - უგემრიელესია, დაუჯერებელი.

ბიცოლა - ხო თავისი ქალი ყავს, სულ იქ ყიდულობს.

ცოლი - (პაციენტს) გააღე პირი.

ბიძა - ღმერთი იყოს ჩვენი და ჩვენი ოჯახის შემწე. ღმერთო, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, რომ ყველა ცოცხლები ვართ. (პაციენტს) საწყალ მამაშენს თუ არ ჩავთვლით. ორი ლუკმის საშუალება გვაქვს.რისთვისაც ცოტა ოფლსაც ვღვრით.

სიძე - გაუმარჯოს.

დედა - რა რბილი ხორცია გადავირიე. მაგრამ ჩემ გაკეთებულს ვერ შეედრება. აღიარეთ.

და - ნაკეცი კანზე. "ოჭი" ზე მთავრდება. 5 ასოა.

ბიძა - პროჭი?

და - პრო... ჯდება!

ბიცოლა - პროჭი ნაკეცია?

ბიძა - აბა რა არის?

ბიცოლა - ორგანო.

ტელევიზორი - ნაოჭი!

ბიძა - აა ჰო ნაოჭი, ნაოჭი.

და - ნა ო ჭი.

ბიძა - ჰოდა, ამ ჭიქით ყველა გაჭირვებულს გაუმარჯოს, ჩემი საყვარელი დის შვილის თამადობით და მალე ფეხზე წამოდგომა ვუსურვოთ.

ბიცოლა - გაუმარჯოს, გაუმარჯოს.

პაციენტი - მადლობა, გაიხარეთ.

ცოლი - ნუ ლაპარაკობ გადაგცდება კარგი?

პაციენტი - კარგი.

ცოლი - ნუ ლაპარაკობთქო. მოდი წყალი დალიე.

დედა - ესეც გადასარევია, მაგრამ რაღაც გემო მაკლია თითქოს. ან ზედმეტი აქვს რაღაცა.

და - "ვერაგი, ზღვისა სიღრმეთა მცოდნე, ცისა და დედამიწის გამყოფი სვეტების მზიდავი" შვიდი ასოა, რაღაცა" ტ" რაღაცა, რაღაცა, რაღაცა," ტი"

პაციენტი - მოიცა, თავიდან თქვი.

და - "ვერაგი, ზღვისა სიღრმეთა...

ტელევიზორი - ატლანტი.

ბიძა - ეს მართლა ბრძენია.

პაციენტი - ატლანტი, ატლანტი.

ცოლი - გადაყლაპე ლუკმა და ისე თქვი.

პაციენტი - ჩემ მოტეხილ მალასაც ატლანტი ქვია. მემგონი თავის ქალა უჭირავს და მაგიტომ დაარქვეს. ეჭირა (იცინის)

დედა - დაიჭერს კიდე, აბა სად წავა. დედაშენის თავის ქალა არ ეჭიროს ნეტა.

ცოლი - გამიღე პირი.

პაციენტი - ტიტანი იყო.

ცოლი - დაღეჭე კარგად.

პაციენტი - პრომეთეს ძმა. პრომეთე ხო იცით კლდეზე რო იყო მიჯაჭვული?

ბიძა - ჰოდა მოდი, ჩვენი წინაპრების მოსაგონარი ვთქვათ. ვინც ჩვენი და ჩვენი ქვეყნის გამო თავი გასწირა. ჩვენი მიწა წყალი დღემდე მათი სისხლით არის მოსვრილი. აბა ია-ვარდს ეხაროს მათ საფლავებზე. ოხ რა სასმელია.

სიძე - გაუმარჯოს!

ბიძა - (ჩაფიქრებული სიგარეტს უკიდებს) გაუმრაჯოს!

სიძე - (ტელეფონი ურეკავს) ალო! გისმენ. ჰო... ვიცი, ვიცი, ვიცი, ბევრი რამ გაქვს გადატანილი. ჰო ეგ კომპლექსები ბავშვობიდან მოდის. კარგი, მაგაზე არ ინერვიულო შენ. შეგხვდები და დავილაპარაკოთ. კარგი დაწყნარდი ეხლა უნდა გავთიშო. კარგი მიდი. (ბიძას) ბოდიში კლიენტი იყო!

ცოლი - აქ არ მოწიოთო.

დედა - მოწიოს, ამან მოწიოს.

ბიძა - არა, თუ არ შეიძლება არ მოვწევ (სიგარეტს ფანჯრიდან აგდებს)

დედა - მანდ არ გადააგდ... კარგი არაუშავს. მისმინე მენეჯერი იყო შემოსული...

ბიძა - (ბიძაშვილს) ბანი მომეცი. მიდი. ოოოოო

ბიძაშვილი - ოოოო...

ბიძა - (დას) მიდი ამოუშვი შენი სირინოზის ხმა.

და - ჩახლეჩილი მაქვს.

ბიცოლა- არაუშავს, მაინც გამოგივა დედი.

ბიძა - აბა დავიწყეთ!

(ყველა იწყებს სიმღერას)

პაციენტი - (ცოლს) რაღაც მუცელი მტკივა.

ცოლი - გაჩერდით ერთი წუთით, მუცელი სტკივა!

დედა - რაო დედა? სად გტკივა?

პაციენტი - ანუ...

დედა - ააა, გასაგებია. აბა ყველა გთხოვთ რამდენიმე წუთით პალატიდან გავიდეთ. (ეშმაკური ღიმილით) სამედიცინო პროცედურა უნდა ჩავატაროთ.

ბიძა - კარგი რა, არ ვიხედებით.

დედა - არა! ყველანი გადით.

ბიცოლა- წამოდი!

სიძე - აბა შენ იცი ცოლის ძმა, არ შეგვარცხვინო.

(ყველა გადის დედის და ცოლის გარდა)

დედა - გადი შენც.

ცოლი - არა რას ამბობ. მე დავრჩები. დამიტოვე ეგ სუდნო.

დედა - კარგი სისულელეებს ნუ ამბობ. შენ რატო უნდა დარჩე?

ცოლი - რას ქვია რატო უნდა დავრჩე?

დედა - რაზე ვკამათობთ ეხლა?

ცოლი - ხო რაზე ვკამათობთ?

დედა - მე რავიცი.

ცოლი - ხოდა მომეცი ეგ რაღაცა. პატარა ბავშვი ხომ არ არის. მე დავეხმარები. (სუდნოს ართმევს)

დედა - პატარა არის თუ დიდი, ჩემი შვილია. ადრეც გამიკეთებია და ახლაც გავაკეთებ. (ართმევს სუდნოს)

ცოლი - ჩემი ქმარია და ჩემი ვალია ვიზრუნო მასზე! (ართმევს სუდნოს)

დედა - აქამდე გეზრუნა. ჯობდა.

პაციენტი - დედა!

(პაუზა)

ცოლი - რას გულისხმობ?

დედა - მშვენივრად ხვდები რასაც.

ცოლი - არა, ვერ ვხვდები ამიხსენი.

დედა - არაფრის ახსნა არ არის საჭირო. მომეცი (ართმევს სუდნოს) გაუშვი ხელი.

პაციენტი - გაჩერდით.

ცოლი - არ გავუშვებ!

პაციენტი - რას აკეთებთ?

დედა - გაუშვი, მე შენ გეუბნები.

ცოლი - არ გავუშვებ მეთქი.

დედა - არ გაუშვებ და შენი აჯობებს.

პაციენტი - მორჩით.

ცოლი - რას მემუქრები! (პაციენტს) თქვი რამე!

პაციენტი - (ყვირის) გეყოფა!

ცოლი - მე მეყოფა? ჩემი ბრალია?

პაციენტი - გადი, გთხოვ... ესე მირჩევნია.

ცოლი - რა თქვი? ესე გირჩევნია არა? კარგი, გასაგებია. (გადის)

დედა - დე, ხო იცი არ მინდა ხოლმე რამე ვთქვა...

პაციენტი - ხოდა, არ თქვა! ძალიან დავიღალე!

დედა - კარგი დე. ცოტა ზურგს აგაწევინებ კარგი? თუ გაინძრევი ან გეტკინება რამე მითხარი და გავჩერდები. თან ახალგაზრდა გოგოა რატო უნდა გნახოს ესე? არ მეთანხმები? აბა გტკივა რამე?

პაციენტი - არა, კარგად ვარ.

დედა - მიდი, დაიწყე.

პაციენტი - გადი შენც და დაგიძახებ!

დედა - გახსოვს ბავშვობაში პაროლი რომ გვქონდა?

პაციენტი - რა პაროლი?

დედა - ესე მეძახდი ხოლმე. ნამცხვარი გამოცხვა. თუ გინდა ეხლაც ეგრე დამიძახე. (იღიმის)

პაციენტი - არა! ჩვეულებრივად დაგიძახებ! წადი შენ და დაელაპარაკე.

დედა - კარგი დე...

პაციენტი - გადი! გადი!

(დედა გადის)

პაციენტი - ღმერთო რა დაგიშავე? რა?

(იჭინთება)

ტელევიზორი - დაენდე უფალს მთელი შენი გულით და შენს გონებას ნუ დაეყრდნობი.ყველა შენს გზაზე შეიცანი იგი და ის გაასწორებს შენს ბილიკებს.

პაციენტი - (შვებით) ტელევიზორის რელიგიური ჭკუის დარიგებები მაკლდა!

(პაუზა)

(კაკუნი კარზე)

პაციენტი - შემოდი, ამ წამს ვაპირებდი დაძახებას.

მოსწავლე - მასწ თქვენ ხართ?

პაციენტი - რომელი ხარ?

მოსწავლე - მე ვარ მასწ. სკოლაში თქვეს საავადმყოფოში დააწვინესო და თქვენს მოსანახულებლად მოვედი. როგორ ხართ მასწ?

პაციენტი - კარგად, კარგად რატო შეწუხდი?

მოსწავლე - არ შევწუხებულვარ.

პაციენტი - მადლობა რომ დამაფასე.

მოსწავლე - როგორ ხართ მასწ?

პაციენტი - კარგად, კარგად მალე გამოჯანვმრთელდები.

მოსწავლე - შემდეგი კვირიდან არდადეგები გვეწყება მასწ.

პაციენტი - ძალიან კარგი.

მოსწავლე - თქვენს მაგივრად შემცვლელი მოგვიყვანეს, მაგრამ თქვენ უფრო კარგი მასწავლებელი ხართ.

პაციენტი - მადლობა.

მოსწავლე - საშინაო დავალებებსაც ვასრულებთ და არ ვზარმაცობთ.

პაციენტი - მართლა?

მოსწავლე - დედას გეფიცებით. თუ გინდათ ჩაგაბარებთ დღეს რაც გვქონდა.

პაციენტი - არა, არა მჯერა.

მოსწავლე - რამე გტკივათ?

პაციენტი - არა, არა. უბრალოდ განძრევა არ შემიძლია.

მოსწავლე - მაგარი ტელევიზორია მასწ. თქვენია?

პაციენტი - კი, კი ჩემია.

მოსწავლე - მაგარია.

მოსწავლე - ყველაფერი კარგად იქნება. აი ნახავთ.

(მოსწავლე კარს აღებს)

პაციენტი - მიდიხარ უკვე? გამიხარდა რომ მომინახულე.

მოსწავლე - ბავშვებო აქ არის! მოდით! მოდით!

(შემოდის მთელი კლასი)

პაციენტი - ვინ და ვინ არიან?

მოსწავლე - მთელი კლასი მოვედით

პაციენტი - უი, რა კარგია...

მოსწავლე - სიმღერა გვინდა გიმღეროთ!

პაციენტი - ფანდურიც წამოგიღიათ?!

მოსწავლე - მოემზადეთ!

მოსწ. ჯგუფი - ცანგალა და გოგონა

ცანგალა და გოგონა-ა

ცანგალა გოგონა-ა (X2)

გოგნი გოგნი გოგნი გოგნი

გოგნი გოგნი გოგონაა

გოგნი გოგნი გოგნი გოგო

გოგნი გოგნი გოგონა

ცანგალა ქალაქს წავიდა

ყურძენი მოიპარა

ყურძენი თვითონ შეჭამა

საფლავი გაითხარა

პაციენტი - ყოჩაღ ბავშვებო, კარგად გისწავლიათ!

მოსწავლე - არ მორჩენილია მასწ. გავაგრძელოთ!

მოსწ. ჯგუფი - ცანგალა და გოგონა-ა

ცანგალა გოგონა-ა (X2)

გოგნი გოგნი გოგნი

გოგნი გოგნი გოგონაა

გოგნი გოგნი გოგნი გოგო

გოგნი გოგნი გოგონა

ეს ბიჭი კარგად თამაშობს

ფეხის წვერებზე დგებაა

ამან რომ რამე იტკინოს

გოგონას დაბრალდება

ცანგალა და გოგონა-ა

ცანგალა გოგონა-ა (X2)

პაციენტი - ბრავო! ბრავო!

მოსწ. ჯგუფი - გოგნი გოგნი გოგნი

გოგნი გოგნი გოგონაა

გოგნი გოგნი გოგნი გოგო

გოგნი გოგნი გოგონა

პაციენტი - მორჩა?

მოსწავლე - დიახ მას, სიმღერა მორჩა, მაგრამ თქვენთვის კიდევ გვაქვს რაღაც...

პაციენტი - მართლა?

მოსწავლე - დახუჭეთ თვალები.

პაციენტი - ჩქარა ბავშვებო! ჩქარა! ვეღარ ვითმენ!

(ბავშვებს შემოაქვთ ოქროს თასი პირამიდის ფორმის)

პაციენტი- ეს რა არის?

მოსწავლე - წაიკითხეთ.

პაციენტი - "წლის მამაცი მათემატიკის მასწავლებელი" რა ლამაზია ბავშვებო, დიდი მადლობა.

მოსწავლე - მასწ, ხელოვნების მასწავლებელი დაგვეხმარა გაკეთებაში.

პაციენტი - მადლობა გადაეცით ჩემგან.

მოსწავლე - აქ არის მასწ თვენთვითონ უთხარით დავუძახებ...

პაციენტი- იყოს არ შეაწუხ...

მოსწავლე - მასწ! მასწი გეძახით!

(შემოდის ხელოვნების მასწავლებელი)

ხელოვნება - გადით ახლა! დაასვენეთ. ჩქარა, ჩქარა! ნახვამდის?

მოსწ. ჯგუფი - ნახვამდის მასწავლებელო!

ხელოვნება - მადლობა უთხარი?

პაციენტი - არ არის საჭირო!

მოსწვლე - არ არისო მას საჭიროო.

პაციენტი -კარგი წადი გაიქეცი. ნახვამდის ბავშვებო...

(ბავშვები გადიან. ხელოვნება კარს კეტავს, ათვალიერებს იქაურობას)

ხელოვნება - როგორ ხარ?

პაციენტი - კარგად... უბრალოდ განძრევა მეკრძალება...

ხელოვნება - დაგღალეს არა?

პაციენტი - არა, სულაც არა! პირიქით. მადლობა, რომ მოიყვანე და კიდევ მადლობა მინდოდა მეთქვა სასწრაფოში რომ დარეკე. შენ რომ არა...

ხელოვნება - მე რომ არა რა?

პაციენტი - ალბათ მოვკვდებოდი.

ხელოვნება - გაიმეორე!

პაციენტი - რა?

ხელოვნება- "შენ რომ არა, მოვკვდებოდი"

პაციენტი - შენ რომ არა მოვკვდებოდი.

ხელოვნება - ვიცი.

პაციენტი - მოკლედ, მადლობა.

ხელოვნება - არაფრის.

პაციენტი - ისე, ჩემები ყველანი აქ არიან.

ხელოვნება - ვიცი!

პაციენტი - და წუთი-წუთზე შემოვლენ.

ხელოვნება - ვიცი!

პაციენტი - ჩემი ცოლიც აქ არის და...

ხელოვნება - ვიცი! (ცხვირით ჰაერს ღრმად ისუნთქავს) რისი სუნია?

პაციენტი - საავადმყოფოს სუნია არა? ჩახუთული.

ხელოვნება - არა!

პაციენტი - აბა?

ხელოვნება - ჩასვრის სუნია.

პაციენტი - მე არ...

ხელოვნება - რა არ? ესეიგი უთხარი?

პაციენტი - რა?

ხელოვნება - რაც დამპირდი, შენ ცოლს უთხარი? თუ შეგეშინდა?

პაციენტი - აა, მაგას გულისხმობ? ვერა... მისმინე... ახლა მაგის დრო არ არის. ისედაც ყველა ანერვიულებულია.

ხელოვნება - შენ გგონია მე არ ვნერვიულობ?

პაციენტი - აქედან გამოვძვრე და გპირდები ყველაფერს ვეტყვი.

ხელოვნება - კარგი, კარგი.

პაციენტი - ეხლა გეხვეწები წადი. შემოვა ვინმე.

ხელოვნება - რაღაც ცხელა, არა?

პაციენტი - ჰო, ცხელა, ფანჯარას ვერ ვაღებთ.

ხელოვნება - ცოტა უნდა გავგრილდე. (ქვედაბოლოდან იხდის საცვალს და პაციენტს სახეზე უსმევს) გიყვარვარ?

პაციენტი - კი, კი ოღონდ წადი ახლა.

ხელოვნება - მაჩვენე როგორ გიყვარვარ!

პაციენტი - როგორ გაჩვენო?

ხელოვნება - შემახედე მაგ საბნის ქვეშ რა გაქვს!

პაციენტი - გეხვეწები წადი!

ხელოვნება - მაჩვენეთქო!

პაციენტი - რა დროს ეგ არის?

ხელოვნება - რატო მიმალავ?

პაციენტი - დაანებე საბანს თავი!

ხელოვნება - გრცხვენია? ცალი თვალით შემახედე როგორ არის? იმასაც ხო არ მოტყდა კისერი?

პაციენტი - გამიშვი. ექიმმა არ შეიძლებაო.

ხელოვნება - რა არ შეიძლებაო? მონახულება?

პაციენტი - არა განძრევა.

ხელოვნება - ხელს არ ვკიდებ.

პაციენტი - ჩემი განძრევა.

ხელოვნება - ხოდა არ გაინძრე!

პაციენტი - ვაიმე... ვაიმეე კისერი!

ხელოვნება - ნუ იტყუები. მანახე!

პაციენტი - სირცხვილია!

ხელოვნება - მანახეთქო!

პაციენტი - არა!

ხელოვნება - ჩქარა.

პაციენტი - არამეთქი!

პაციენტი - (ყვირის) გამოცხვა!

ხელოვნება - რა?

პაციენტი - (ყვირის) ნამცხვარი გამოცხვა!

(უცებ კარი იღება დედა შემოვარდება. ხელოვნება სწრაფად უკან იხევს და საცვალს, რომელიც ხელში უჭირავს დაბნეულობისგან ფანჯრიდან აგდებს.)

დედა - მორჩი დე?

(პაციენტი ახველებს)

დედა - ვაიმე რატო გახველებს მოგიკვდეს დედა?

პაციენტი - ეს ჩემი კოლეგა და თანამშრომელია.

დედა - უი, სასიამოვნოა.

ხელოვნება - ჩემთვისაც.

დედა - რას ასწავლით?

ხელოვნება - ხელოვნებას.

დედა- ვგიჟდები ხელოვნებაზე. მეც ხელოვანი ვიყავი თავის დროზე. მუსიკალური მაქვს დამთავრებული, ვოკალი. მაგრამ ჩემი შვილების გადამკიდე. ვეღარ გავაგრძელე. მოვლა ხომ უნდოდათ. ხომ გესმით?

ხელოვნება - უი რა კარგია....

დედა - მეცცო-სოპრანო ვიყავი. კარმენში ვთამაშობდი. ხო იცით კარმენი?

ხელოვნება - დიახ, რა თქმა უნდა.

დედა - მერსედესი ვიყავი. მესამე აქტი. გუნდის შემდეგ მერსედესი და ფრასკეტა იწყებენ.

Notre métier est bon,

mais pour le faire il faut

avoir une âme forte !

Et le péril est en haut, il est en bas,

il est partout, qu'importe !

Nous allons devant nous

sans souci du torrent,

sans souci de l'orage,

პაციენტი - დედა! დედა! ეჩქარება!

ხელოვნება - არა, გააგრძელეთ!

პაციენტი - (თვალებს უძაბავს) ეჩქარება მეთქი.

დედა - უი სულ დამავიწყდა. უკაცრავად სამედიცინო პროცედურები გვქავს ჩასატარებელი. ხმა აღარ მივარგა ხო?

ხელოვნება -არა ძალიან კარგი იყო.

დედა - გმადლობ.

ხელოვნება - კარგით, აღარ შეგაწუხებთ. ნახვამდის. სასიამოვნო იყო.

დედა - ჩემთვისაც.

(ხელოვნება პაციენტს ჩუმად თვალს უკრავს და კოცნას უგზავნის გადის)

დედა - კარგი გოგო ჩანს. სტუმრები თუ მოგდიოდნენ არ უნდა გეთქვა? ესეთი არეული რომ დავახვედრეთ. (იწყებს დალაგებას) ეს რა არის?

პაციენტი - ბავშვებმა მომიტანეს.

დედა - უი, ბავშვებიც იყვნენ? რა კარგია. (ტელევიზორის ყუთზე) ეს ყუთი რამხელა ადგილს იკავებს. სად წავიღო?

პაციენტი - დედა! დაანებე თავი. რა დროს ყუთია?

დედა - მაპატიე, კიდე დამავიწყდა (ყუთს დებს, მაყურებელს და პაციენტს შორის, ისე რომ მაყურებელი ვერ ხედავს პაციენტის ქვედა ტანს)

დედა - ყველაფერი კარგად არის. ცოტაც, ცოტაც. მორჩა სულ ეს იყო. აბა იყო რამე სანერვიულო? (შედის ტუალეტში)

(შემოდის ცოლი)

ცოლი - ჩანთას ავიღებ და გავალ. (იღებს ჩანთას და აპირებს გასვლა)

პაციენტი - დარჩი გთხოვ.

ცოლი - რომ დავრჩე რა?

პაციენტი - არაფერი, უბრალოდ დარჩი.

ცოლი - მეჩქარება.

პაციენტი - სად?

ცოლი - საქმე მაქვს.

პაციენტი - რა საქმე?

ცოლი - შენი საქმე არ არის.

პაციენტი - ჩემთან იყავი, გეხვეწები.

ცოლი - მეჩქარებათქო.

პაციენტი - კარგი, როგორც გინდა.

ცოლი- რა როგორც მინდა?

პაციენტი - წადი თუ გინდა.

ცოლი - შენ არ შეგეკითხები წავალ თუ დავრჩები.

პაციენტი - შენ მითხარი მეჩქარებაო.

ცოლი - მეჩქარება, მერე?

პაციენტი - ხოდა წადითქო.

ცოლი - მაგდებ?

პაციენტი - სად გაგდებ?

ცოლი - რავიცი, გინდა თუ არა წადიო.

პაციენტი - ხუმრობ თუ მართლა ამბობ?

ცოლი - ხუმრობის ხასიათზე ვარ შენი აზრით?

პაციენტი - სისულელეზე ბრაზდები.

ცოლი - საერთოდ არ ვბრაზდები.

პაციენტი - ხოდა მოდი ჩემთან.

ცოლი - ჯერ დედაშენს კითხე, თუ შეიძლება.

პაციენტი - ჩუმად. გთხოვ, მანდ არის. არ გაიგოს ეწყინება.

ცოლი - მე არ მწყინს?

პაციენტი - კარგი, მაპატიე, კარგი?

ცოლი - რა გაპატიო?

პაციენტი - ყველაფერი

ცოლი - რა ყველაფერი?

პაციენტი - როგორც მოვიქეცი.

ცოლი - და როგორ მოიქეცი?

პაციენტი - აი, რომ გითხარი გადითქო.

ცოლი - შენ გგონია მაგაზე ვარ გაბრაზებული?

პაციენტი - აბა რაზე?

ცოლი - ზოგადად, შენს დამოკიდებულებაზე.

პაციენტი - გიყვარვარ?

ცოლი - არ ვიცი.

პაციენტი - მოდი მაკოცე.

ცოლი - ღირსი ხარ?

პაციენტი - კარგი. მოდი გთხოვ.

ცოლი - ნანობ?

პაციენტი - კი.

ცოლი - მითხარი როგორ?

პაციენტი - ძალიან, ძალიან, ძალიან... მიყვარხარ! შენ?

ცოლი - მეც.

პაციენტი - შენც რა?

ცოლი - მიყვარხარ.

პაციენტი - ძალიან კარგი. ხოდა მოდი, მომიჯექი და მაკოცე.

ცოლი - კარგი.

(ცოლი ეხუტება და კოცნის)

(პაუზა)

ცოლი - მითხარი,რატო აირჩიე დედაშენი?

პაციენტი - აღარ გვინდა გთხოვ ამ თემაზე ლაპარაკი. გეფიცები შენ აგირჩევდი რომ შემეძლოს დროის უკან გადახვევა.

ტელევიზორი - "დროის უკან გადახვევა გააქტიურებულია".

პაციენტი - შეხედე. იწერდა თურმე ეს. მოიცა. რა? არა! გაჩერდი!

პაუზა! ტელევიზორო გამოირთე!

ცოლი - რა ხდება?

(შემოდის დედა)

დედა - რა ხდება?

პაციენტი - გაითიშე! ტელევიზორო გამორთვა! სტოპ!

ცოლი - არ ვუყურებ ნუ ნერვიულობ!

პაციენტი - (დედას)- გამორთე! გამორთე ეგ რაღაცა!

დედა - რატო რა ხდება?

პაციენტი- გამორთე მეთქი ჩქარა!

დედა- ახლავე მოიცა. როგორ ირთვება.

ცოლი - მოიცადეთ... ეს ვინ არი?

დედა - ჰო... კოლეგაა, ძალიან სასიამოვნო ახალგაზრდაა...

პაციენტი - გამორთე! გამორთე!

ცოლი - არ გამორთო! ეს ვინ არის მეთქი. ტელევიზორო გაჩერდი!

ტელევიზორი - "ხელოვნება - რაც დამპირდი, შენ ცოლს უთხარი? თუ შეგეშინდა?

პაციენტი - აა, მაგას გულისხმობ? ვერა... მისმინე... ახლა მაგის დრო არ

არის ისედაც ყველა ანერვიულებულია.

ხელოვნებაბ- შენ გგონია მე არ ვნერვიულობ?

პაციენტი - აქედან გამოვძვრე და გპირდები ყველაფერს ვეტყვი.

ხელოვნება - კარგი, კარგი.

პაციენტი- ეხლა გეხვეწები წადი. შემოვა ვინმე.

ხელოვნება- რაღაც ცხელა, არა?

პაციენტი - ჰო, ცხელა, ფანჯარას ვერ ვაღებთ.

ხელოვნება - ცოტა უნდა გავგრილდე. (ქვედაბოლოდან იხდის საცვალს და პაციენტს სახეზე უსმევს) გიყვარვარ?"

პაციენტი - გაჩერდი! გაჩერდი!

(ტელევიზორი ჩერდება)

ცოლი - ეს რა არის?

პაციენტი - არაფერი. აგიხსნი!

ცოლი - რა არის მეთქი ჩქარა მიპასუხე!

პაციენტი - ჩემი ბრალი არ არის.

დედა - რა ხდება, გამაგებინეთ.

ცოლი - რა ხდება ვერ ხედავ? შენი შვილი სხვას ეფიცება სიყვარულს!

დედა - გამორიცხულია! დედა რას მეუბნება?

პაციენტი - არასწორად გაიგე!

ცოლი - შე დამპალო!

პაციენტი - გეფიცები არაფერი მნიშვნელოვანი არ ყოფილა.

ცოლი - ხმას როგორ იღებ შე არაკაცო!

(შემოდის მედმა)

მედმა - უკაცრავად. სისტემა უნდა შევცვალოთ.

პაციენტი - მოდი, გთხოვ, დაჯექი დავილაპარაკოთ.

ცოლი - მოგკლავ!

პაციენტი - კარგი, ჩემო სიცოცხლე. გთხოვ, მოდი აგიხსნითქო.

ცოლი - მოგკლავ მეთქი! მოგკლავ!

(ცოლი მივარდება, უნდა რომ დაახრჩოს, მივარდებიან დედა და მედმა. აკავებენ)

მედმა - დამშვიდდით ქალბატონო. აქ ჩხუბის ადგილი არ არის.

დედა - რას აკეთებ არ გაანძრიო.

ცოლი - გამიშვით ხელი! მოვკლავ! დავახრჩობ!

პაციენტი - გაჩერდი და ყველაფერს აგიხსნი.

მედმა - დამშვიდდით! საავადმყოფოში ხართ!

დედა - გეხვეწები! გაჩერდი!

ცოლი - ხელი გამიშით. კისერი უნდა მოვუღრიცო ამ არაკაცს! გამიშვით!

დედა - გეყოფა!

ცოლი - გამიშვით!

მედძმა - დაწყნარდით

ცოლი - გამიშვით უნდა მივასიკვდილო! (მედძმას და დედას ხელს კრავს. მედძმა "ოქროს პირამიდაზე" დაეცემა)

დედა - (კივის) გაჩერდი!

(ცოლი ჩერდება, სიჩუმეა)

პაციენტი - რა მოხდა?

დედა - მემგონი...

პაციენტი - მემგონი რა? წაიქცა? ცუდად არის?

ცოლი - (დედას) დამეხმარე, ავაყენოთ! (მედძმას) ბატონო ადექით! არ ინძრევა! სასწრაფოში დარეკე!

პაციენტი - რა სასწრაფოში? საავამყოფოში ვართ!

ცოლი - დაუძახე ვინმეს, დაგვეხმაროს.

დედა - ახლავე, ახლავე.

(აღებს კარს და კარში დანარჩენი ოჯახის წევრები დგანან)

ბიძა - რა ვერ ქენით ამდენი ხანი?

პაციენტი - რა ხდება მითხარით? ეგ ქალი რატომ არ იღებს ხმას?

და - რა ხდება? ვაიმე! ვაიმე! ახლა გული ამერევა (შერბის ტუალეტში)

სიძე - ეს რა არის?

პაციენტი - გეხვეწებით გამაგებინეთ...

დედა - შენ არ გაინძრე დამშვიდდი. ყველაფერი კარგად არის.

ბიძა - ღმერთო რამდენი სისხლია. ვაიმე!

პაციენტი - სისხლი? ვისი სისხლი?

ბიცოლა - (ბიძაშვილს) დახუჭე თვალები.

სიძე - რა მოხდა?

ცოლი - (ტირილით) მე არაფერი დამიშავებია. თვითონ წაიქცა! (დედას) ხომ ასეა?

დედა - კი, კი...

პაციენტი - ცუდად არის?

სიძე - არ სუნთქავს!

პაციენტი - ვინ არ სუნთქავს, ექთანი?

ბიძა - ვაიმე!

პაციენტი - რას ნიშნავს არ სუნთქავს?

ბიძაშვილი -(ბიცოლას) შემახედე, გამიშვი ხელი.

ბიცოლა - არ შეხედო, მეთქი.

ცოლი - დაუძახეთ ვინმეს!

დედა - ახლავე, ახლავე!

სიძე - არ გინდა! გაჩერდი! კარი ჩაკეტეთ!

პაციენტი - რა?

სიძე - კარი ჩაკეტეთ მეთქი!

ცოლი - ასე ხომ მოკვდება?

სიძე - მკვდარია უკვე, მკვდარი. ამაზე მეტი აღარაფერი მოუვა.

დედა - ვაიმე, ღმერთო შენ გვიშველე.

ცოლი - მე, მე, ჩემი ბრალი არ არის... დამიჭერენ?

სიძე - არავის დაიჭერენ.

ცოლი - გავალ და ვიტყვი რომ ფეხი აუსრიალდა და დაეცა. (ქმარს) შემთხვევით მოხდა. ჩემო სიყვარულო ხო შემთხვევით მოხდა?

ბიძა - რა ვქნათ?

ბიძაშვილი - შემახედე!

ბიცოლა - დაეგდე და ხმას ნუ იღებ!

დედა - ყველას დაგვიჭერენ.

სიძე - დამშვიდდით. რამეს მოვიფიქრებთ.

ბიძა - ეგ რა აქვს შერჭობილი?

სიძე - რაღაც ოქროსფერი პირამიდა. რა არის ეს? საიდან გაჩნდა?

პაციენტი - ბავშებმა მომიტანეს, როგორც წლის საუკეთესო მათემატიკის მასწავლებელს!

დედა - ნუ ინძრევი შენ!

სიძე - ხო დაუჯერე, ყველაფერი კარგად იქნება. ეს აქედან უნდა გავაქროთ.

პაციენტი - რაზე ამბობთ? პირამიდაზე?

სიძე - ექთანზე.

ბიცოლა - რას ქვია გავაქროთ?

სიძე- უნდა მოვიშოროთ.

ცოლი - ჩემი ბრალი არ არის.

დედა - დავიღუპეთ!

სიძე - არავის არაფერი დაგვინახავ და გაგვიგია. გასაგებია?

ცოლი - არა...

სიძე - არავის არაფერი დაგვინახავს და გაგვიგია! გასაგებია?

ცოლი - კი.

სიძე - მომაწოდეთ ეგ ტელევიზორის ყუთი. დამეხმარეთ შიგნით ჩავსვათ. აი ეგრე. ხელი მოუღუნე. მიდი მიდი დააწექი. (დედას) მიდი მოწმინდე აქაურობა მე წავალ და ამას წავიღებ.

პაციენტი - რას აკეთებთ ხალხო, გაგიჟდით? უნდა ავდგე.

დედა - არ გაინძრე.

სიძე - შენ არაფერზე ინერვიულო. მეორე მკვდარი არ გვჭირდება. წყნარად იწექი.

დედა - ახლავე მოვწმენდ. (დას) გამოდი მაქედან ჩქარა, ტილო მჭირდება! გამოდი მეთქი!

სიძე - ფეხი არ მოიცვალოთ არცერთმა აქედან, სანამ ყველაფერს არ მოვაგვარებ და რომ გავალ კარი ჩაკეტეთ. არავინ შემოუშვათ. გასაგებია?

ყველა - გასაგებია...

ბიძა - (ყვირის) მოიცადე!

სიძე - რა მოხდა?

ბიძა - სანამ წაიყვან ერთი ჭიქა შესანდობარი დავლიოთ.

სიძე - კარგი.

ბიძა - აბა, ჩამოასხი. აბა, ახალგაზრდა კაცი წავიდა მოულოდნელად. ღმერთმა სინათლის გზაზე ატარო სულ იმ ქვეყნად. ხსოვნა იყოს და არ დავიწყება. ამინ, გაუმარჯოს.

სიძე - გაუმარჯოს.

ბიძა - კარგი, წადი ახლა.

(სიძე გადის)

დედა - (დას) გამოდი ჩქარა!

(და გამოდის. დედა იატაკის საწმენდს იღებს და მოწმენდას იწყებს. სამარისებური სიჩუმეა)

ტელევიზორი - ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან ჰსჯულსა უფლისასა. ნეტარ არიან, რომელნი გამოიკულევენ წამებათა მისთა, ყოვლითა გულითა გამოიძინენ იგინი. რამეთუ არა მოქმედნი უჰსჯულოებისანი გზათა მისთა ვიდოდეს. შენ ამცენ მცნებათა შენთა **და**მარხვად ფრიად. წარ-თუ-მცა-მართებულ იყვნეს გზანი ჩემნი **და**ცვად სიმართლეთა შენთა. მაშინ არა მრცხუენოდის, რაჟამს ვხედვიდე მე ყოველთა მიმართ მცნებათა შენთა.

პაციენტი - გამორთეთ ვინმემ ეს რაღაცა!

ცოლი - (პაციენტს ტირილით) შენი ბრალია! ის ქალი რომ არ მოგეთრია აქ, არაფერი მოხდებოდა.

პაციენტი - მე არ მომიყვანია.

ცოლი - აბა, ჩემ გამო მოვიდა?

დედა - კარგით, გეყოფათ.

ბიძა - რა უნდოდა იმ პირამიდას აქ? რომელი დიდი მათემატიკის მასწავლებელი შენ მყავხარ.

ბიცოლა - ვაიმე, როგორ ცხელა, სუნთქვა შეუძლებელია.

(კაკუნი კარზე)

ცოლი - (დას) ასე ჩქარა დაბრუნდა?

და - მე რა ვიცი. გაუღეთ.

ბიცოლა - ჯერ იკითხე ვინ არის.

დედა - ვინ არის?

1პოლიციელი - პოლიციაა! გააღეთ

ცოლი - ვაიმე დავიღუპეთ. ყველას დაგვიჭერენ!

ბიძა - ეს რა შარში გავყავით თავი...

ცოლი - ალბათ გზაში დაიჭირეს, გვამით ხელში. არა?

და - მე რას მეკითხები?

ბიძა - დავიღუპეთ! დავიღუპეთ! ნახვამდის ჩემო სახლო, ნახვამდის ჩემო საქმეებო, ნახვამდის კარგო ცხოვრება. ყველანი თანამონაწილეები ვართ.

ბიცოლა - მოკეტეთ და ხმა არ ამოიღოთ.

და - მე ტუალეტში შევდივარ.

1პოლიციელი - გააღეთ, პოლიციაა მეთქი!

დედა - როგორ მოვიქცეთ?

ცოლი - არ გააღოთ!

დედა - აბა რა ვქნათ?

ბიძა - (ფანჯარას ამოწმებს გადასაძრომად) ეს რა ჯანდაბაა, წინ მეორე შუშა რად უნდა?

ბიცოლა - გამოეთრიე აქეთ. უნდა გავაღოთ. არაფერი დაგვინახავს. არაფერი ვიცით. მე ვილაპარაკებ!

1პოლიციელი - გააღეთ, თორემ შემომტვრევა მომიწევს!

ბიცოლა - გააღე! მიდი!

(დედა აღებს კარს)

1პოლიციელი - (შემოიხედავს პალატაში, გადაათვალიერებს იქაურობს) (რაციაში) - ლეიტენანტი, ობიექტი აქ არის! (პაციენტს) ასე, ასე! მშვენიერი პალატაა, სუფთა მოწესრიგებული. ცოტა სიცხეა, მაგრამ საბოლოო ჯამში არაუშავს.ეს რა უბედურებაა? "წლის საუკეთესო მათემატიკის მასწავლებელს" ოქროა? მაგარი ტელევიზორია. ვისია აქაურია, თუ თქვენი?

ბიცოლა - პაციენტის პირადი საკუთრებაა.

1პოლიციელი - მართლა?

ბიცოლა - დიახ.

(**1**პოლიციელი სიგარეთს იღებს და უკიდებს)

დედა - აქ მოწევა არ შეიძლება. ოღონდ ფანჯრიდან არ გადააგდოთ...

1პოლიციელი - თქვენ ნუ მკარნახობთ სად და რა გადავაგდო

დედა - არა უბრალოდ მანდ ფანჯარა...

(ღრმა ნაფაზს ურტყამს და ფანჯრიდან აგდებს სიგარეტს)

1პოლიციელი - პაციენტი რომელია? (პაუზა) პაციენტი რომელიათქო?

პაციენტი - მე ვარ.

1პოლიციელი - ანუ შენია?

პაციენტი - რა?

1პოლიციელი - ადექი ფეხზე!

დედა - ვერ ადგება!

1პოლიციელი- რატომ, ვითომ?

პაციენტი - განძრევა არ შეიძლება.

1პოლიციელი - (ირონიით) რა დაგემართა?

დედა - კისერი მოიტეხა.

1პოლიციელი - თქვენ რამე გკითხეთ ქალბატონო? რა დაგემართათქო.

ბიცოლა - (საქმიანად) უპასუხე...

პაციენტი - კისერი მოვიტეხე.

1პოლიციელი - (იცინის) ოქმში ესე შევიტანო? "კისერი მოიტეხა"?

პაციენტი - დიახ, რა ვიცი.

1პოლიციელი - ესეიგი მეანდაზე ხარ...

პაციენტი - რა?

1პოლიციელი - ანდაზების სპეციალისტი.

პაციენტი - არა, მათემატიკოსი ვარ.

1პოლიციელი - (ათვალიერებს ოქროსფერ პირამიდას) ესეიგი ეს რაღაცა შენია.

პაციენტი - დიახ.

1პოლიციელი - გინდა გითხრა ჩემი საყვარელი ანდაზა?

პაციენტი - თუ გნებავთ...

1პოლიციელი - "დამნაშავემ რამდენიც არ უნდა მოისულელოს თავი, ჩემს ბორკილებს ვერ აცდებაო!" გაგიგია ეს ანდაზე?

პაციენტი - არა.

1პოლიციელი - კიდე გინდა ერთი?

პაციენტი - დიახ.

1პოლიციელი - "რამდენჯერაც ეცდები მომატყუო, იმდენჯერ ყბაში მიიღებ, იმისდა მიუხედავად რომ ძალადობის სასტიკი წინააღმდეგი ვარო" ეს თუ გაგიგია?

პაციენტი - არა ნამდვილად არ გამიგია.

1პოლიციელი - (დანარჩენებს) არც თქვენ?

ყველა - არა...

1პოლიციელი - ძალიან ცუდი, იმიტომ რომ ახლა...

2პოლიციელი - იპოვეთ უფროსო?

1პოლიციელი - ვინც ეძებს ლეიტენანტო, ის ყოველთვის პოულობს. თანაც თუ ჩემსავით მეძებრის ყნოსვა გაქვს, გამოცდილება და ინტელექტი.

2პოლიციელი - ამას რა ჭირს?

1პოლიციელი - კითხე...

2პოლიციელი - რა გჭირს?

პაციენტი - კისერი მაქვს მოტეხილი.

(პოლიციელები იცინიან)1პოლიცელი-გაიგე ლეიტენანტო კისერი აქვს ბიჭს მოტეხილი.

2პოლიციელი - მეანდაზეა?

1პოლიციელი - მათემატიკოსი.

1პოლიციელი - კარგი, კარგი. სიცილი კარგია, მაგრამ ახლა საქმეზე გადავიდეთ... **1პოლიციელი** - სად იყავით დღეს, დღის პირველ ნახევარში?

პაციენტი - აქ.

1პოლიციელი - ამას ვინმე დაადასტურებს?

პაციენტი - დიახ. დედაჩემი და ჩემი ცოლი.

1პოლიცელი - კიდე ხუმრობის ხასიათზეა.

პაციენტი - არ ვხუმრობ, კითხეთ.

დედა - აქ ვართ, გუშინდელი ღამიდან.

2პოლიციელი - აბა რას იტყვიან...

დედა - ექიმს კითხეთ!

1პოლიციელი - ექიმი სად არის?

დედა - ახალ კაბინეტში გადადის!

1პოლიციელი - მაგას გადავამოწმებთ. (2პოლიციელს) იწერ?

2პოლიციელი - კი, უფროსო. "ახალ კაბინეტში გადადის"

1პოლიციელი - არ ვარ აგრესიული დაკითხვის მომხრე, მაგრამ სხვა გზას რომ არ მიტოვებ? პირდაპირ გკითხავ მაშინ. სად არის?

პაციენტი - რა?

1პოლიციელი - მემგონი ამას სულელები ვგონივართ.

2პოლიციელი - ვასწავლო ჭკუა უფროსო?

1პოლიციელი - მოიცადე, ყველაფერს გვეტყვის... სად არის მეთქი?

პაციენტი- არ ვიცი რაზე მეკითხებით.

1პოლიციელი- როგორ არ მინდა ფიზიკური ანგარიშწორება... როგორ მძულს. მაგრამ სხვა გზას არ მიტოვებს.

2პოლიციელი - დავიწყო?

1პოლიციელი - დაიწყოს?

პაციენტი - რა?

2პოლიციელი - ცემა-ტყეპა.

1პოლიციელი - ცემა-ტყეპა? ცოტა ბავშვურად ხო არ ჟღერს?

2პოლიციელი - ხო? მაგაზე არ მიფიქრია უფროსო.

1პოლიციელი - რამე უფრო სერიოზული სიტყვა უნდა მოვიფიქროთ.

2პოლიციელი -დასისხლიანება?

1პოლიციელი - კარგია, მაგრამ ზედმეტად ბრუტალურია.

2პოლიციელი - დაბეგვა?

1პოლიციელი - დაბეგვაზე უფრო საჭმელი მახსენდება.

2პოლიციელი - რახუნი?

1პოლიციელი - აბა წინადადებაში მითხარი.

2პოლიციელი - გინდა გირახუნო?

1პოლიციელი - არა, არა არ მომწონს.

ბიძა- დამუყვნა?

ბიცოლა - ჩაიგდე მეთქი ხმა!

1პოლიციელი - მოდი უბრალოდ "ცემა" დავტოვოთ. ტყეპვა ამოვაგდოთ. როგორია?

2პოლიციელი - ძალიან მაგარია.

1პოლიციელი - გადაწყვეტილია. ბოლოჯერ გეკითხები სად არის, თორე დაიწყებს ლეიტენანტი...

2პოლიციელი - (ამაყად) ცემას.

1პოლიციელი - ცემას.

პაციენტი - გეფიცებით ვერ ვხვდები რაზე მეკითხებით.

1პოლიციელი - სად არის ამ ტელევიზორის ყუთი?

ბიცოლა - არ უპასუხო. დუმილის უფლება გაქვს.

1პოლიციელი - თქვენ ვინ ბრძანდებით?

ბიცოლა - მე მისი ბიცოლა-ადვოკატი ვარ.

1პოლიციელი - დუმილის უფლება ქალბატონო ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს უკვე დიდი ხანის. კანონმდებლობით აკრძალეს. ამიტომ დაჯექით და გაჩუმდით. კიდევ ერთ ანდაზას გეტყვით." დროზე თუ არ მეტყვის სად არის ტელევიზორის ყუთი, მაგ ლოგინიდან პირდაპირ საკანში წამოწვება და მერე ღმერთიც ვერ უშველისო" გაგიგიათ?

2პოლიციელი - მე ნამდვილად არ გამიგია. სადაური ანდაზაა უფროსო?

1პოლიციელი - აღმოსავლური.

2პოლიციელი - ბოდიში უფროსო ჩვენ პრო-დასავლურები არ ვართ?

1პოლიციელი - რა თქმა უნდა ლეიტანანტო. (იარაღს იღებს)

ბიცოლა - მე, როგორც მისი ადვოკატი ვერ მოვითმენ მსგავს მოპყრობას.

1პოლიციელი - გააჩერეთ ეს ქალი, თორემ დავაპატიმრებ.

ბიცოლა - პატივისცემით მომეპყარით ოფიცერო, თორემ გიჩივლებთ.

1პოლიციელი - გაიგე? გვიჩივლებს თურმე ლეიტენანტო... ბორკილები დაადე.

2პოლიციელი - ახლავე უფროსო.

ბიცოლა - გამიშვით ხელი... რას აკეთებთ... მე ადვოკატი ვარ. (ბიძას) ამოიღე ხმა... თქვენ ჩვენ უნდა გვიცავდეთ კი არ უნდა გვარბევდეთ და გვაწიოკებდეთ.

1პოლიციელი - გიცავთ ქალბატონო, გიცავთ ოღონდ თქვენი თავისგან.

ბიცოლა - ამოიღე ხმა შე უპატრონო.

1პოლიციელი - (ბიძას) ხმას ამოიღებ და შენც მიგაყოლებ.

ბიცოლა - ორივე დაისჯებით, მე ნაცნობები მყავს ზემოთ. სამსახურს დაემშვიდობეთ.

1პოლიციელი - პირზე რამე აუკარი...

(2პოლიციელი ცხვირსახოცს აკრავს პირზე)

2პოლიციელი - გიჟია ეს უფროსო...

(1პოლიციელი შუბლზე იარაღს ადებს პაციენტს)

1პოლიციელი - აბა?

დედა - რას აკეთებთ?

და - გაუშვით ხელი!

2პოლიციელი - (იარაღს იღებს) არავინ არ გაინძრეს!

ცოლი - ჩემი ბრალია! ყველაფერი ჩემი ბრალია!

პაციენტი- გაჩუმდი!

ცოლი- გეფიცებით, მე ვარ **და**მნაშავე!

პაციენტი - გაჩუმდი მეთქი, ხმას ნუ იღებ!

ცოლი - მე უნდა დამაპატიმროთ, ის არაფერ შუაშია.

(პაუზა)

2პოლიციელი - მოიცა უფროსო, ტექ-მმუსვრელი ქალია?

1პოლიციელი - ალბათ ფემინისტია.

პაციენტი - ვინ?

ცოლი - ტექ- რა?

1პოლიციელი - (2პოლიციელს) აიყვანე!

2პოლიციელი - ბორკილები აღარ მაქვს უფროსო.

1პოლიციელი - აჰა, ჩემი აიღე.

(პოლიციელი ცოლს ბორკილებს ადებს)

1პოლიციელი - თქვენ დაკავებული ხართ, წინასწარ განზრახული ძარცვისთვის.

ცოლი - რა? რა ძარცვა?

1პოლიციელი - ძვირად ღირებული ტექნიკის, მათ შორის ტელევიზორის ქურდობისთვის.

ცოლი - მოიცადეთ, მოიცადეთ! რაღაც შეცდომაა! მე არაფერი მომიპარავს! ეს ტელევიზორი ამისმა ქმარმა მოიატანა! საჩუქრად!

1პოლიციელი - მართალია?

პაციენტი - კი მართალია გაუვით ხელი!

და - რა უმადურები ხართ

1პოლიციელი - ამის ქმარი რომელია?

ცოლი - წავიდა და ყუთი წაიღო გადასაგდებად.

დედა - რა? შენი ქმარი ტექ- მმუსვრელია?

ბიძა - ვიცოდი რო რაღაცას გვიმალავდა ეგ ნაბოზარი!

1პოლიციელი - სიტყვები შეარჩიე! ვერ ვიტან უზრდელობას!

ბიძა - უკაცრავად.

2პოლიციელი - ვერ გავიგე უფროსო, ვინ არის ბოლო-ბოლო დამნაშავე!

1პოლიციელი - (დას) თქვენი ქმარი ტექ-მმუსვრელია?

და - არ ვიცი!

1პოლიციელი - კიდევ ერთხელ გიმეორებ! თქვენი ქმარი ე.წ ტექ-მმუსვრელია?

და - ნუ მიყვირი, ისედაც გული მერევა!

დედა - დე გული რატო გერევა? ჩემი სიკვდილი ერთ დღეს!

1პოლიციელი - დაწყნარდით, ჩვენ მივხედავთ ქალბატონო! გამოძიებაში ხელს ნუ გვიშლით! აქ დაწერეთ თქვენი ქმარის სახელი გვარი და მისამართი სასწრაფოდ. ჩქარა მეთქი.

დედა - მომეცით მე დავწერ.

1პოლიციელი - ლეიტენანტო დამატებით ეკიპაჟს დაუკავშირდით, ტელევიზორი ლენტით შემოსაზღვრეთ, იცოდე არავინ შეეხოთ თორე… და წადით ექიმი იპოვნეთ და ჩვენება ჩამოართვით. (ამაყად და პათეთიკურად) მე დამნაშავეს ავედევნები!

2პოლიციელი - ამათ რა ვუყოთ უფროსო?

1პოლიციელი - გარედან ჩავკეტოთ სანამ ყველაფერს დავადგენთ! აბა წინ!

(გადიან, ბევრი საკეტების ჩაკეტვის ხმა)

(პალატაში სამარისებული სიჩუმეა)

(ტელევიზორში იწერება ტიტრები)

“დასასრული

მონაწილეობენ:

(მსახიობების სახელის და გვარების ჩამონათვალე რიგრიგობით)”

პაციენტი - რა ხდება? რა წერია?

დედა - (გაკვირვებული) დასასრულიო.

პაციენტი - მოიცადეთ, გაჩერდი რა დროს დასასრულია? ჯერ კულმინაციამდეც არ მივსულვართ.

დედა - ეს ვისი სახელებია?

და - აზრზე არ ვარ. გული მერევა.

პაციენტი - რა მნიშვნელობა აქვს? უკვე მთავრდება? ესეთი უაზრო დასასრული მე არასდროს მინახავს. ეს რა უბედურებაა. აზრს ვერ გამოიტანენ! გააჩერეთ ვინმემ ეს ტელევიზორი.

ცოლი - მე რას მეუბნები, დაბმული ვარ, ვერ ხედავ?

პაციენტი - გამორთეთ! გამორთეთ!

ბიძა - ლენტები აქვს არ გადაკვეთოთო, უარეს დღეში ჩავიგდებთ თავს.

ბიცოლა - მართალია არ შეეხო!

პაციენტი - რა ლენტები, რის ლენტები, რა მნიშვნელობა აქვს უკვე ლენტებს. ეს დასასრულია. ამის შემდეგ აღარაფერი მოხდება.

დედა - გამაგებინეთ ვისი სახელებია?

ცოლი - ფაქტია რომ ვიღაც უნიჭოების!

პაციენტი - (ბიძაშვილს) გეხვეწები შენ მაინც მიდი, გამოაერთე ეგ ტელევიზორი.

ბიცოლა - არ მიეკარო!

პაციენტი - გთხოვ!

ბიცოლა - არა მეთქი!

პაციენტი - გემუდარები!

ბიცოლა - მოგკლავ იცოდე!

(ბიძაშვილი მორიდებით მიდის გამოსართველად)

ბიცოლა - ფეხი არ მოიცვალო მე შენ გეუბნები!

(ბიძაშვილი დემონსტრაციულად გამოაერთებს ტელევიზორს, მაგრამ ტელევიზორი აგრძელებს მუშაობას)

პაციენტი - მორჩა, დამთავრდა ვდგები.

დედა - რა თქვი?

პაციენტი - ვდგები თქო!

ცოლი - არ გინდა, თუ ოდნავ მაინც გიყვარვარ!

დედა - არ გაინძრე, თუ დედა გიყვარს.

(ტიტრები გრძელდება, პაციენტი ეცდება ადგეს)

პაციენტი - არ შემიძლია! არ შემიძლია! მეშინია! რატო ღმერთო რატო? რა დავაშავე!

დედა - შენ არაფერი დაგიშავებია, დამშვიდდი.

პაციენტი - არადა თავიდან მეგონა რომ თამაშობდა.

ცოლი - ვინ?

პაციენტი - ყველა იქით იჯდა, ჩრდილში. სვამდნენ, მღეროდნენ!

ცოლი - რაზე ამბობ? დამშვიდდი და ისე თქვი.

პაციენტი - მე არ ვსვამდი. მარტო ერთი ჭიქა ლუდი დავლიე

ცოლი - გავიგე, მჯერა.

პაციენტი - ისე ფართხალებდა, აი როგორც იციან ხოლმე თამაშის დროს.

ცოლი - რას ლაპარაკობ აგვიხსენი.

პაციენტი - რა დაგიშავე ღმართო? რატომ მსჯი ასე? მე ხომ უბრალოდ ვცდილობდი რომ კეთილი ვყოფილიყავი. რით დავიმსახურე? ესე მიჯაჭვული უნდა ვიყო ლოგინზე დასასრულში? უსამართლობაა! უსამართლობა! (პაციენტი ბოლო ხმაზე ხავის)

დედა - (ყვირის) დაწყნარდი დედა გთხოვ.

ცოლი - გამიხსენით ხელი და მე დავაწყნარებ.

დედა - მოიცა…

ცოლი - შენ თვითონ მოიცადე. გამიხსენით ვინმემ ხელი!

დედა - მოიცა ერთი წუთით!

ცოლი - (პაციენტს) უთხარი დედაშენს ერთხელ და საბოლოოდ…

დედა - მოიცადე ერთი წუთით, შე არანორმალურო! სუნს გრძნობთ?

ბიძა - ჩაიჯვა?

დედა - არა, არა რაღაც დამწვრის სუნია.

(ყველა ყნოსვას იწყებს)

და - ფუ, მართლა რა სუნია, ახლა გული ამერევა.

ცოლი - დაო, მე ვერაფერს ვგრძნობ.

დედა - არა, არა ნამდვილად დამწვრის სუნია.

და - წავედი მე ტუალეტში.

ბიცოლა - ხო, რაღაც იწვის.

დედა - ტუალეტიდან ხომ არ გამოდის? დე, მანდ დგაას სუნი?

და - არა! დამანებეთ თავი.

ბიცოლა - (ბიძას) აბა ტელევიზორს უსუნე, ხო არ გადაიწვა?

ბიძა- არა, გარედან შემოდის.

დედა - (პაციენტს) დე, მართლა შენ ხომ არ ქენი რამე?

(პაციენტი გაშეშებული თვალებით იყურება და პასუხს არ ცემს)

(ნელ-ნელა ოთახში ბოლი შემოდის)

ბიცოლა - ცრემლსადენი გაზი ხომ არ გაუშვეს? ხომ არ გვარბენევენ?

(ყველს ხველება უტყდება, დედა კარზე აკაკუნებს.)

დედა - უკაცრავად, არის მანდ ვინმე? ბოლი შემოვიდა...

ბიცოლა - უფრო მაგრად დააკაკუნე!

ცოლი - მომხსენით ვინმემ ეს ბორკილები. დავიხრჩვი.

(დედა კარის სახელურს ამოწმებს)

დედა - ცხელია! რა ჯანდაბა ხდება?

ცოლი - ვეღარ ვსუნთქავ მიშველეთ.

ბიცოლა - სველი ნაჭრები აიაფარეთ სახეზე.

დედა - (დას) გამოდი, წყალი გვჭირდება.

ცოლი - (დას) გამოეთრიე დროზე, შე ავადმყოფო!

ბიცოლა - ვაიმე დაცხა! ძალიან ცხელა!

(პაციენტი ისევ გაშტერებული იყურება)

ცოლი - ჩემო სიცოცხლე იწექი მშვიდად, ყველაფერი კარგად იქნება. კარგი. კარგი?

დედა - არ გაინძრე, დედა, შენ მოგიკვდეს შენი უბედური დედა!

ბიძა - გაინძრევა და გაინძრეს, ეს ახვარი! ყველაფერი ამის ბრალია.

დედა - რეებს ამბობ ჩემს შვილზე! შე არაფრის მაქნისო საქონელო!

ბიცოლა - ჩემ ქმარს თავი დაანებეთ თქვე…

ცოლი - დროზე გამოათრიეთ ტუალეტიდან სანამ თმებით ვითრიე. (ცდილობს აიწყვიტოს)

და - (კივის) კარს ვეღარ ვაღებ დამეხმარეთ!

ცოლი - ხოდა ჩალპი მანდ!

და - (კივის) როგორ მეზიზღებით! როგორ მეზიზღებით!

დედა - დე, აქედანაც არ იღება. შვილებო!

(ბიძაშვილი ძირს ვარდება და იხრჩობა)

ბიცოლა - (ბიძას) დაეხმარე! გთხოვ დაეხმარე ჩემს შვილს!

(ბიძა ვერ ხვდება რა ხდება. გაშეშებული იყურება აქეთ იქით)

ბიცოლა - დაეხმარეეე!

(ირთვება სახანძრო სირენის ხმა)

ბიცოლა - ვაიმე განგაშია ხანძარია. გამიშვით აქედან გამათავისუფლეთ!

ცოლი - (პაციენტს) გთხოვ, უთხარი მომხსნან ეს ბორკილები.

(პაციენტი იწყებს ნერვიულ სიცილს)

პაციენტი - რატომ ღმერთომ რატომ? ერთი ჭიქა ლუდის გულისთვის?

ყველა - გვიშველეთ! გვიშველეთ!

(პაციენტი აგრძელებს ხმამაღლა სიცილს. სხვები პანიკურად შველას ითხოვენ)

(ბოლით ივსება სცენა, ხმაური იზრდება, შუქი ნელა ქვრება)

ეპილოგი

(ჩაბნელებული სცენა. უცებ ტელევიზორი ირთვება და მოქმედება ტელევიზორში ვითარდება)

კორესპონდენტი - მოგესალმებით, ჩვენ პირდაპირ ეთერში ვერთვებით ტრაგედიის ადგილიდან. მოგეხსენებათ, რომ ქალაქის მთავარ საავადმყოფოში მოულოდნელად ხანძარი გაჩნდა. მსხვერპლის რაოდენობა ამ მომენტში დაზუსტებულია, დეტალურ ინფორმაციას მოგვაწვდის სახანძრო სამსახურის უფროსი. მოგესალმებით, რა გახდა ხანძრის მიზეზი და რა დეტალებია ამ ეტაპზე თქვენთვის ცნობილი?

მეხანძრე - სახანძრო სამსახურის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად აღმოჩენილია ხანძრის კერა. როგორც წინასწარი დათვალიერების შედეგად ჩანს, საავადმყოფოს ძველ კედელს და ახალ ფასადს შორის ჩაუქრობელი სიგარეტის ნამწვავებიდან, ე.წ ქალის საცვალს მოეკიდა ცეცხლი რამაც გამოიწვია ხანძრის გავრცელება. საავადმყოფოს პერსონალი ევაკუირებულია. მხოლოდ ერთ პალატაში არის მსხვერპლი. პაციენტი და მათი მნახველები. გამოძიება მიმდინარეობს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მცდელობის მუხლით.

კორესპონდენტი - დიდი მადლობა. ახლა მეუბნებიან რომ სწორედ პაციენტი რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა, მთელი ხანძრის პროცესის განმავლობაში არ განძრეულა. უცნაურია,

ნამდვილად უცნაური.

და ბოლოს, როგორც აღმოჩნდა პაციენტი ერთ-ერთი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი იყო. გუშინ საღამოს, ექსკურსიაზე, შემთხვევით წყალში ჩავარდნილი მოსწავლის გადასარჩენად თავით გადახტა აუზში, რის შედეგადაც მძიმედ დაიზიანა კისრის მალები. ახლა ჩვენთან იმყოფებიან მისი მოსწავლეები და მადლობის ნიშნად უნდათ გამოსამშვიდობებელი სიმღერა მიუძღვნან მასწავლებელს. გისმენთ!

მოსწავლე - დავიწყოთ!

(მოსწ.ჯგუფი იწყებენ გალობას მიცვალებულისთვის, მათ უკან მოხუცი პაციენტი დგას ჩაფიქრებული. თავს იქნევს ისე, რომ ვხვდებით ცდებოდა)

სულთა-თანა აღსრულებულთა მართალთასა,სულთა მიცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთათა განუსვენე მაცხოვარ და ღირს ყვენ სანატრელასა მას ცხოვრებასა კაცთმოყვარე, განსასვენებელსა შენსა მაცხოვარ სადა ყოველნი წმინდანი შენნი მკვიდრ არიან, განუსვენე სულთა მიცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთათა, რამეთუ შენ მხოლო ხარ კაცთმოყვარე. დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა. შენ ხარ ღმერთი რომელი შთახედ ჯოჯოხეთად და დახსენ სალმობანი შესვენებულთანი, აწცა განუსვენე ქრისტე ღმერთო სულთა მიცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთათა. აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.ამინ

(გალობის ხმა იზრდება, ტელევიზორი ნელ-ნელა ფუჭდება)

ფარდა